

გამოცდების ეროვნული ცენტრის
უცხოური ენების ჯგუფი

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა
სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

ფრანგული ენა

2012-2013 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი	3
საგამოცდო პროგრამა	4
ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება	11
რეკომენდაციები	12
მოსმენის ნაწილი	12
წერის ნაწილი	12
ლაპარაკის ნაწილი	13
მინიმალური ზღვრები	15
შეფასების სქემა წერის დავალებისთვის	16
შეფასების სქემა ლაპარაკის ნაწილისთვის	17
ლაპარაკის ნაწილის ნიმუში	18
საგამოცდო ტესტის ნიმუში	19
პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია	36
ტესტის პასუხები	37
ჩანაწერის ტექსტები მოსმენის დავალებებისათვის	38

შესავალი

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა დაწეებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ფრანგული ენის პედაგოგებს გააცნოს სასერტიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები და საგამოცდო პროგრამა. კრებულში ასევე მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები მოსმენისა და ლაპარაკის დავალებებთან დაკავშირებით.

საგამოცდო დავალებების სირთულის დონე და მოთხოვნები შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნებთან.

საგამოცდო ტესტის ფორმატი და ცალკეული დავალებების ტიპები გამოიცადა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აპრობაციების შედეგების ანალიზისა და საგნობრივ ექსპერტებთან ინტენსიური მუშაობის შედეგად შემუშავდა ტესტის არსებული ფორმატი.

ვფიქრობთ, ამ კრებულში გამოქვეყნებული მასალა სათანადო დახმარებას გაუწევს უცხოური ენის პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებაში.

საგამოცდო პროგრამა

წინამდებარე საგამოცდო პროგრამა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2008 წლის 21 ნოემბერს დამტკიცებულ „მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს“.

საგამოცდო პროგრამა განკუთვნილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის იმ პედაგოგებისათვის, რომლებიც 2013 წელს აპირებენ ჩააბარონ სასერტიფიკაციო გამოცდა ფრანგულ ენაში. გამოცდა ამოწმებს ფრანგული ენის მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას: ერთი მხრივ, პედაგოგის ენობრივ კომპეტენციას და, მეორე მხრივ, ფრანგული ენის სწავლების მეთოდის ცოდნას.

ენობრივი კომპეტენცია

პედაგოგთა ენობრივი კომპეტენციის შესამოწმებელი დავალებების სირთულის დონე შეესაბამება ევროსაბჭოს “უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიან ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოში” მითითებულ B2 დონეს, (იხ. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 42). აღნიშნული დონე შეესაბამება ისეთ საერთაშორისო გამოცდების სირთულის დონეს, როგორიცაა ფრანგული გამოცდის DELF - ის სერტიფიკატი.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ენობრივი კომპეტენციის ნაწილში მოწმდება მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარები, გრამატიკის ცოდნა და B2 დონის შესატყვისი ლექსიკური მარაგის ცოდნა.

მიმართულება მოსმენა

ენობრივი კომპეტენციის ამ საფეხურზე პედაგოგს მოეთხოვება უშუალო კონტაქტში ან მას-მედიაში გამოყენებული ენის გაგება, ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება მისთვის ნაცნობ, მაგრამ ასევე ნაკლებად ნაცნობ თემებს, რომლებსაც, როგორც წესი, პირად, საზოგადოებრივ და სამსახურეობრივ ცხოვრებაში ეხვდებით. (შდრ. ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო, მოსმენა, ზოგადი აღწერა, B2).

ტესტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- „გარკვევით, სტანდარტულ ენაზე ჩაწერილი საინფორმაციო აუდიოჩანაწერებისა და ტელე-რადიო გადაცემების (ინტერვიუ, რეპორტაჟი, სპორტული ანგარიში, ამინდის პროგნოზი, ახალი ამბები და სხვ.) გაგება“, (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ა.დ.).
- ნათქვამის ძირითადი აზრის გაგება, იქნება ეს მოკლე განცხადებები თუ შედარებით უფრო ვრცელი, მონოლოგური ხასიათის ტექსტები. (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ა.ა.) ა.ბ.); ა.ე.).

- პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებული ტექსტების გაგება (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ა.ვ.).

მიმართულება კითხვა

ენობრივი კომპეტენციის ამ საფეხურზე პედაგოგს მოეთხოვება შედარებით გრძელი და რთული ტექსტების ძირითადი აზრისა და ცალკეული დეტალების გაგება, იქნება ეს სხვადასხვა თემატიკის მქონე საგაზეთო პუბლიკაციები თუ პედაგოგთა პროფესიული ლიტერატურა (შდრ. ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო, კითხვა, ზოგადი აღწერა, B2). პედაგოგს უნდა შეეძლოს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება **„გაცნობითი – ტექსტის კითხვა ზოგადი შინაარსის გასაგებად, შესწავლითი – ტექსტის კითხვა მისი დეტალური გაგების მიზნით, ძიებითი – ტექსტის კითხვა რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად“** (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, გ.თ.).

ტესტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- სხვადასხვა სახის ტექსტების გაგება, იქნება ეს „შემეცნებით-ინფორმაციული ხასიათის ტექსტები (კულტურის, ბუნებისმეტყველების და სხვ. სფეროებიდან)“, თუ მას-მედიაში მოცემული ტექსტები („ინტერვიუ, რეპორტაჟი, ტელეპროგრამა, ქრონიკა, კომიქსი, აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები, მკითხველის გამოსხმავრება და სხვა“), თუ პრაგმატული სახის ტექსტები („კულინარული რეცეპტი, კატალოგი, სამარშრუტო გეგმა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, აბრა, რეცეპტი, ტელერადიოპროგრამა, უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი წარწერა, მენიუ, ბანკომატის ან მობილური ტელეფონის ინსტრუქცია და სხვ.“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, გ.ბ. გ.ბ.: გ.დ.)).
- პირადი კორესპონდენციის გაგება („სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის, პირადი წერილის, საქმიანი წერილის (მათი ელექტრონული ვერსიის“) (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, გ.ა.).

მიმართულება წერა

ენობრივი კომპეტენციის ამ საფეხურზე პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით მკაფიო და დეტალური ტექსტების დაწერა, არგუმენტების მოყვანა და განსხვავებული არგუმენტების ურთიერთშედარება (შდრ. ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო, წერა, ზოგადი აღწერა, B2).

ტესტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- წერილების დაწერა, „მიმოწერა, (ღია ბარათი, პირადი წერილი, საქმიანი წერილი და მათი ელექტრონული ვერსიები) და წერილის საშუალებით ინფორმაციის მოპოვება“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, დ.ბ.).

- პირადი პოზიციის დაფიქსირება და არგუმენტებით გამყარება, „საკუთარი შეხედულების, დამოკიდებულების წერილობით გადმოცემა და დასაბუთება, პრობლემის წერილობით გამოხატვა“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, დ.კ.).
- გრამატიკულად, სტილისტურად და ასევე ფორმალურად გამართული ტექსტის შედგენა (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, დ.ი.; დ.დ.).

მიმართულება ლაპარაკი

ენობრივი კომპეტენციის ამ საფეხურზე პედაგოგს მოეთხოვება გარემოებებისა და სიტუაციების მკაფიოდ და დეტალურად აღწერა, სათანადო დეტალებზე დაყრდნობით ძირითადი საკითხების გამოკვეთა და მნიშვნელოვანი ასპექტების წარმოჩენა (შდრ. ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო, წერა, ზოგადი აღწერა, B2).

ტესტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- „ბუნებრივად, დაუბრკოლებლად, შესაბამისი გამოთქმით გაბმულად ლაპარაკი და უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაციის დაცვა“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ბ.ა.).
- ინტერაქციაში მონაწილეობა და არგუმენტირებული მსჯელობა, „დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, დასაბუთება, დამტკიცება, რჩევის მიცემა“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ბ.ვ.; ბ.გ.).
- ლაპარაკისას „ენობრივი - ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დაცვა“, ფრანგული ენის ფონეტიკური სისტემის ცოდნა (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ბ.კ.).
- „საკუთარი გრძნობების გამოხატვა და ოცნებების, იმედების, მიზნების გადმოცემა“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ბ.დ.).

გრამატიკა

გრამატიკის სფეროში პედაგოგის ცოდნა მოიცავს შენდევ ასპექტებს (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, 4,5,6,7).

ფრანგული ენა

არსებითი სახელი - le nom

სქესი: მდედრობითი/მამრობითი - Le genre du nom : masculin/féminin

რიცხვი: მხოლობითი/მრავლობითი - Le nombre du nom : singulier/pluriel

არტიკლი - L'article

განუსაზღვრელი არტიკლი L'article indéfini; განსაზღვრული არტიკლი L'article défini;

შერწყმული არტიკლი L'article contracté; ნაწილობითი არტიკლი L'article partitif

ზედსართავი სახელი - L'adjectif

თვისებითი ზედსართავი სახელი - L'adjectif qualificatif

სქესი: მდედრობითი /მამრობითი - Le genre de l'adjectif : masculin/féminin

რიცხვი: მხოლოდობითი/მრავლობითი - Le nombre de l'adjectif : singulier/pluriel

შედარებითი და აღმატებითი ხარისხები - Le comparatif et le superlatif

ნაცვალსახელოვანი ზედსართავი სახელები - Les adjectifs pronominaux

კუთვნილებითი - L'adjectif possessif

ჩვენებითი - L'adjectif démonstratif

განუსაზღვრელი - L'adjectif indéfini

კითხვითი - L'adjectif interrogatif

რიცხვითი ზედსართავი სახელები - Les adjectifs numéraux

რიგობითი - Les adjectifs numéraux cardinaux

რაოდენობითი - Les adjectifs numéraux ordinaux

ნაცვალსახელი - Le pronom

მახვილიანი და უმახვილო პირის ნაცვალსახელები - Les pronoms personnels atones et toniques

ზმნიზედური ნაცვალსახელი - y და en Les pronoms personnels adverbiaux y et en

ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი და ირიბი დამატების ადგილი თხრობით და ბრძანებით კილოში - La place des pronoms personnels compléments à l'indicatif et à l'impératif

კუთვნილებითი - Les pronoms possessifs

ჩვენებითი - Les pronoms démonstratifs

განუსაზღვრელი - Les pronoms indéfinis

კითხვითი - Les pronoms interrogatifs

მიმართებითი - Les pronoms relatifs

ზმნაა Le verbe

I, II და III ჯგუფის ზმნები - Les trois groupes de verbe

La syntaxe du verbe (les verbes intransitifs, transitifs directs/indirects, verbes à double construction)

Forme active/passive, Forme pronominale, Forme impersonnelle

დამხმარე ზმნები - Les deux auxiliaires

ზმნის პასიური ფორმა - La forme passive

უკუქცევითი ზმნები - Les verbes pronominaux

უპირო ზმნები - Les verbes impersonnels

თხრობითი კილო და მისი დროები - Le mode indicatif et ses temps

ახლანდელი დროის გამოხატვა - L'expression du présent

აწმყო - Le présent

მომავლის დროის გამოხატვა - L'expression du futur

მარტივი მომავალი - Le futur simple

უახლოესი მომავალი - Le futur proche

წინარე მომავალი - Le futur antérieur

წარსული დროის გამოხატვა - L'expression du passé

ნამყო უწყვეტელი - L'imparfait

წყვეტილი - Le passé composé

წინარე წარსული - Le plus-que-parfait

მარტივი წარსული - Le passé simple

მიმართება ნამყო უწყვეტელი/წყვეტილი - Les relations imparfait/passé composé
მიმართება ნამყო უწყვეტელი - Les relations imparfait/passé simple
დროთა შეთანხმება თხრობით კილოში - La concordance des temps à l'indicatif

კავშირებითი კილო - Le mode subjonctif
წარმოება - Formation
აწმყო კავშირებითი - Le subjonctif présent /passé
დროთა შეთანხმება კავშირებით კილოში - Concordance des temps au subjonctif

პირობითი კილო - Le mode conditionnel
წარმოება - Formation
პირობითი კილოს დროები - Les temps du conditionnel
აწმყო - Le présent
წარსული - Le passé

ბრძანებითი კილო - Le mode Impératif
წარმოება - Formation
ფუნქციები - Valeurs et emplois

ზმნის უპირო ფორმები - Les formes verbales impersonnelles: infinitif et participe
საწყისი - L'infinitif
მიმდებარეობა - Le participe
აწმყო მიმდებარეობა - Le participe présent
გერუნდივი - Le gérondif

ზმნიზედა - L'adverbe

ადგილის ზმნიზედა - L'adverbe de lieu
დროის ზმნიზედა - L'adverbe de temps
რაოდენობის აღმნიშვნელი ზმნიზედა - L'adverbe de quantité
ვითარების აღმნიშვნელი ზმნიზედა - L'adverbe de manière
მტკიცებითი, უარყოფითი და კითხვითი ზმნიზედა - L'adverbe d'affirmation, de négation, d'interrogation
შედარებითი და აღმატებითი ხარისხები - Le comparatif et le superlatif

წინდებულები - La préposition

მარტივი და რთული - Les prépositions simples et les locutions prépositives

კავშირი - La conjonction

მაკავშირებელი - La conjonction de coordination
მაქვემდებარებელი - La conjonction de subordination

შორისდებული - L'interjection

სიტყვათწარმოება - Formation des mots

წინადადება - La phrase

წინადადების ტიპები - Les différents types de phrases
უარყოფითი წინადადება - La phrase négative

კითხვითი წინადადება (კითხვის დასმის სამი ფორმა) - La phrase interrogative (les trois formes de l'interrogation)

მახილის წინადადება - La phrase exclamative

მარტივი წინადადებიდან რთულისკენ - De la phrase simple à la phrase complexe

რთული თანწყობილი წინადადება - La proposition juxtaposée et coordonnée

რთული ქვეწყობილი წინადადება - La proposition subordonnée

მიმართებითი დამოკიდებული წინადადება - La subordonnée relative

დამატებითი დამოკიდებული წინადადება - La subordonnée complétive

გარემოებითი დამოკიდებული წინადადება - La subordonnée circonstancielle

ირიბი ნათქვამი - Le discours indirect (Le discours rapporté)

პირდაპირი ნათქვამი - Le discours direct

ირიბი კითხვითი ფორმა - L'interrogation indirecte

ლოგიკურ-ტემპორალური მიმართებები - Les relations logico-temporelles

დროის გამოხატვა - L'expression du temps

მიზეზის გამოხატვა - L'expression de la cause

მიზნის გამოხატვა - L'expression de la conséquence et du but

დაპირისპირების გამოხატვა - L'expression de l'opposition et de la concession

პირობითობის გამოხატვა - L'expression de la condition et de l'hypothèse

ინტენსივობისა და შედარების გამოხატვა - L'expression de l'intensité et de la comparaison

ტექსტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- გაკვეთილის მიზნების ან გაკვეთილის შესაბამისი ფაზების სხვადასხვა სახის დავალებებთან დაკავშირება, გაკვეთილის მიზნების ან გაკვეთილის შესაბამისი ფაზების მოსწავლის ან მასწავლებლის ქმედებებთან დაკავშირება (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, ა.ბ.);
- ცალკეული უნარების (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) გასავითარებელი სავარჯიშოებისა და აქტივობების დაკავშირება კონკრეტულ სასწავლო მიზნებთან (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, ა.ა.; ბ.დ.);
- სწავლების მიზნის შესაბამისად გაკვეთილის ან გაკვეთილის ცალკეული სეგმენტის დაგეგმვა (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, ა.გ.; ა.ე.);
- გრამატიკის, ლექსიკის სწავლება; მოსწავლეებში ოთხი ენობრივი უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა, ლაპარაკი) განმავითარებელი ტექნიკისა და სტრატეგიების გამოყენება. ახალი მასალის წარდგენის (პრეზენტაციის) ტექნიკის გამოყენება. სწავლების მიზნის შესაბამისი დავალებების შერჩევა, (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, ა.გ.; ა.ბ.; ა.ე.).

- გაკეთილის ცალკეული ფაზების ან მასწავლებლის კონკრეტული ქმედებების ფუნქციების განსაზღვრა, მაგ., მოტივაციის ზრდისათვის ან დამოუკიდებლად სწავლების უნარის განსავითარებლად (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, ბ.ბ.; ბ.გ.; ბ.დ.; ბ.ე.; ბ.ვ.).
- სწავლების მიზნის შესატყვისი ინსტრუქციების ჩამოყალიბება და გაგება (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, ბ.ი.).
- სწავლების მიზნის შესატყვისი შეფასების გამოყენება, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, გ.ა.; გ.ბ.; გ.გ.; გ.დ.).
- დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინება, სენსორული, კინესტიკური, მოტორული სისტემების გამავითარებელი დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვა (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, დ.ა.).
- დაწყებით საფეხურზე კითხვისა და წერის უნარების სწავლების განსხვავებული ტიპების შესატყვისი დავალებების შერჩევა ან აქტივობების დაგეგმვა (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 45, დ.ბ.; დ.გ.).

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან - საკუთრივ ენობრივი ნაწილისაგან, რომელიც ამოწმებს, თუ როგორ ფლობს მასწავლებელი ფრანგულ ენას და მეთოდური ნაწილისგან, რომელიც ამოწმებს, თუ როგორ ფლობს მასწავლებელი ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკას. ქვემოთ მოცემულია საგამოცდო ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით.

რა მოწმდება	დავალების ინსტრუქცია	საკითხი	ქულა	ქულათა მაქსიმუმი
ენა				
მოსმენა	მოისმინეთ ტექსტი და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სათანადო ინფორმაციით.	12	1	12
მოსმენა	მოისმინეთ ჩანაწერი და მოსაუბრეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მიუსადაგეთ შესაბამისი წინადადებები.	4	1	4
წაკითხულის გააზრება	წინადადებების ჩამონათვალიდან აირჩიეთ შესაფერისი წინადადება და ჩასვით ტექსტში სათანადო ადგილას.	6	1	6
სიტყვაწარმოება	წაკითხეთ ტექსტი და გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით სიტყვები სწორ ფორმაში.	8	1	8
წაკითხულის გააზრება	წაკითხეთ წინადადებები და განსაზღვრეთ, სწორია ისინი, თუ მცდარი. მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელშიც წინადადებების სისწორე/სიმცდარის დამადასტურებელი ინფორმაციაა მოცემული.	8	1	8
წერა	მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერეთ თხზულება.	1		16
ლაპარაკი	უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს.	3		16
ჯამური ქულა ენობრივი ნაწილისთვის				70
მეთოდიკა	<p>მეთოდიკის ნაწილის დავალებების ჯამური ქულა შეადგენს 50-ს. დავალებების ნიმუშები მოცემულია.</p> <p>შესაძლებელია, რომ ცალკეულ დავალებაში შეიცვალოს საკითხების რაოდენობა, თუმცა მთლიანად მეთოდიკის ნაწილის ჯამური ქულა არ შეიცვლება.</p>			
წარმოთქმა				
შეცდომების გასწორება				
პრაქტიკული მეთოდიკა				
ჯამური ქულა მეთოდიკის ნაწილისთვის				50 ქულა
მაქსიმალური ქულა მთლიანი ტესტისათვის – 120				

პასუხები პედაგოგმა უნდა გადაიტანოს პასუხების ფურცელზე. სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.

ტესტის ხანგრძლივობა (ლაპარაკის ნაწილის გარეშე) შეადგენს 4 საათს. ლაპარაკის ნაწილისთვის მასწავლებელს დამატებითად მიეცემა დაახლოებით 15 წუთი. ლაპარაკის გამოცდა ტარდება ცალკე, ძირითადი ნაწილისგან განსხვავებულ დროს.

რეკომენდაციები

მოსმენის ნაწილი

- ტესტში არის მოსმენის ორი დავალება
- წინასწარ გაეცანით თითოეული დავალების პირობას, რისთვისაც ყოველი დავალების წინ გეძლევათ 20-30 წამი.
- გაითვალისწინეთ, რომ თითოეული დავალების ტექსტს მოისმენთ ორჯერ, რაც თქვენი პასუხების გადამოწმების საშუალებას მოგცემთ.
- დავალება შეასრულეთ მოსმენის დროს. პირველ და მეორე მოსმენას შორის მოცემულია პაუზა (დაახლოებით 30 წამის ხანგრძლივობის). პაუზის დროს კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ როგორც დავალება, ასევე თქვენი პასუხები. ტექსტის მეორე მოსმენისას გადაამოწმეთ და, საჭიროების შემთხვევაში, შეასწოროთ თქვენი პასუხი.
- ტესტის მოსმენის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 16. გამსვლელი ქულაა 6.

წერის ნაწილი

- ტესტში არის წერის მხოლოდ ერთი დავალება, რომელიც თქვენგან 180-230 სიტყვიანი თხზულების დაწერას მოითხოვს.
- ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას და მოთხოვნებს (მაგ. სიტყვების რაოდენობა, არგუმენტრებული მსჯელობა, ა.შ). წინასწარ ჩამოწერეთ თუ რაზე გსურთ მსჯელობა.
- წერისას ეცადეთ გამოიყენოთ მდიდარი ლექსიკა და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები.
- შეასრულეთ დავალება ჯერ ტესტის ბუკლეტში და რედაქტირების შემდეგ, საბოლოო ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!!!
- ეცადეთ გამოიყენოთ სიტყვების ის რაოდენობა რასაც დავალება ითხოვს (არანაკლებ 180 და არაუმეტეს 230 სიტყვისა.)
- ნურსად მიუთითებთ თქვენს სახელსა და გვარს. ასეთი ნაწერი არ გასწორდება.

- ნაწერი ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. მაქსიმალური ქულაა 16; გამსვლელი ქულაა 6.

თხზულების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა:

- პასუხის შესაბამისობას დავალებასთან.
- პასუხის ლოგიკურ თანმიმდევრულობას.
- ლექსიკურ მარაგს.
- გრამატიკულ სიზუსტეს.

თხზულების დეტალური შეფასების სქემა იხ. გვ. 16

ლაპარაკის ნაწილი

ტექნიკური მხარე

საგამოცდო ტესტის ლაპარაკის ნაწილი ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალურად, პერსონალურ კომპიუტერებთან. ისინი ყურსასმენებით უსმენენ დავალებების პირობებს და ასრულებენ შესაბამის მოთხოვნებს (მაგ., პასუხობენ შეკითხვებს, აღწერენ სიტუაციას და ა.შ.). დავალებების მოთხოვნები გამოტანილია კომპიუტერის ეკრანზე. ამგვარად, მასწავლებელს ეძლევა საშუალება, რომ დავალებების მოთხოვნები ერთდროულად მოისმინოს და წაიკითხოს. ყოველი დავალების შესასრულებლად გამოყოფილია გარკვეული დრო, რომლის გაკონტროლება მასწავლებელს შეუძლია კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი წამზომის საშუალებით. სალაპარაკო დროის გაკონტროლების საშუალებას იძლევა ასევე სპეციალური **ხმოვანი სიგნალი**, რომელიც კანდიდატს მიაწვდის იმაზე, თუ როდის უნდა დაიწყოს და დაასრულოს მან მოცემულ საკითხზე ლაპარაკი.

აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელმა ილაპარაკოს **ხმამაღლა და გარკვევით**, რომ ჩანაწერის ცუდმა ხარისხმა არ იმოქმედოს შეფასებაზე.

ტესტი გრძელდება დაახლოებით 15 წუთი. ჩანაწერი გაკეთებულია ენის მატარებლის მიერ.

შინაარსობრივი მხარე

ტესტის ლაპარაკის ნაწილი შედგება 3 ნაწილისაგან.

ნაწილი 1: კითხვებზე პასუხი

მასწავლებელს ეძლევა ორი შეკითხვა ნაცნობი თემატიკის ირგვლივ. იგი შეკითხვებს პასუხობს რიგ-რიგობით: ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს. თითოეულ კითხვაზე საპასუხოდ გამოყოფილია 30 წამი.

ნაწილი 2: სიტუაციის აღწერა

მასწავლებელს ეძლევა ერთი სიტუაცია და 3 ან 4 დამხმარე შეკითხვა. მან უნდა აღწეროს სიტუაცია, ან გაიხსენოს მოვლენა და შესაბამისად განავითაროს თემა. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 1 წუთი. პასუხისთვის გამოყოფილია 2 წუთი.

ნაწილი 3: არგუმენტირებული მსჯელობა

მასწავლებელს ეძლევა ორი „პრობლემური“ სიტუაცია, სადაც ერთ საკითხზე ორი მოსაზრებაა გამოთქმული. მასწავლებელმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მოსაზრება, გადმოსცეს თავისი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და გაამყაროს იგი მაგალითებითა და არგუმენტებით. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 30 წამი. თითოეული პასუხისთვის გამოყოფილია 1 წუთი.

- მაქსიმალურად გამოიყენეთ ლაპარაკისთვის მოცემული დრო. დაიწყეთ ლაპარაკი შესაბამისი ხმოვანი სიგნალის შემდეგ. გახსოვდეთ, რომ კონკრეტული დავალებისთვის გამოყოფილი დროის არასრული გამოყენება ან დიდი პაუზებით საუბარი ვერ მოგვცემს თქვენი ლაპარაკის უნარის სათანადოდ შეფასების საშუალებას.
- ილაპარაკეთ ხმამაღლა და გარკვევით. ჩანაწერის შეფასებისთვის აუცილებელია, რომ ჩანაწერში თქვენი ხმა ისმოდეს კარგად.

ლაპარაკის ტესტის სტრუქტურა

ნაწილი	დავალება	საკითხების რაოდენობა	მიზანი / რას ამოწმებს
შესავალი	–	–	ტესტის ფორმატის გაცნობა; ჩანაწერის ხმის, წარმოთქმისა და ა.შ. გათავისება კანდიდატის მიერ.
1	უპასუხეთ შეკითხვებს	2	ნაცნობ, ყოველდღიურ თემებსა და პიროვნულ გამოცდილებაზე აგებულ შეკითხვებზე თანმიმდევრული პასუხის გაცემის უნარი.
2	აღწერეთ სიტუაცია; განაგრცეთ თემა.	1	სიტუაციის აღწერის და/ან ახსნის უნარი; მოცემულ თემასთან დაკავშირებით საკუთარ გამოცდილებაზე ლაპარაკი;
3	არგუმენტირებული მსჯელობა	2	საკუთარი აზრის და საკითხის მიმართ დამოკიდებულების გადმოცემის და არგუმენტაციის უნარი.

მაქსიმალური ქულა ლაპარაკის ნაწილისთვის არის 16. ამ ნაწილის წარმატებით ჩასაბარებლად პედაგოგმა უნდა მიიღოს 6 ან მეტი ქულა.

ლაპარაკის ნაწილის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა:

- გაბმული და თანმიმდევრული ლაპარაკის უნარს.
- ლექსიკურ მარაგს.
- გრამატიკულ სიზუსტეს.
- წარმოთქმას.

ლაპარაკის დეტალური შეფასების სქემა იხ. გვ. 17

მინიმალური ზღვრები

ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, რომ კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%, ანუ, კანდიდატმა უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60% +1 ქულა. ფრანგული ენის ტესტის შემთხვევაში, სადაც მაქსიმალური ქულაა 120, გამსვლელი ქულაა - 73 ქულა ან მეტი.

გარდა ამისა, კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 6 ქულა მოსმენის ნაწილში, მინიმუმ 8 ქულა კითხვის ნაწილში, მინიმუმ 6 ქულა წერის ნაწილში და მინიმუმ 6 ქულა ლაპარაკის ნაწილში.

მეთოდის ნაწილს მინიმალური ზღვარი არ აქვს. გრაფიკულად ეს შეიძლება ასე გამოვსახოთ.

	მაქსიმალური ქულა	გამსვლელი ქულა
ფრანგული ენა	120	73 ან მეტი
მოსმენის ნაწილი	16	6 ან მეტი
კითხვის ნაწილი	22	8 ან მეტი
წერის ნაწილი	16	6 ან მეტი
მეთოდის ნაწილი	50	—
ლაპარაკის ნაწილი	16	6 ან მეტი

ამგვარად, გამოცდა რომ ჩაბარებულად ჩაითვალოს კანდიდატს გადალახული უნდა ჰქონდეს 5-ვე მოთხოვნილი ზღვარი: მთლიანი ტესტის და მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის ნაწილებში.

**შეფასების სქემა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის
წერის ნაწილისთვის. მაქსიმალური ქულა 16. სიტყვების რაოდენობა მინიმუმ 180.**

	შესაბამისობა დავალების მოთხოვნასთან.	ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე.
4 ძალიან კარგი	ნაწერი ძალიან კარგია; დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად და ამომწურავად. მოცემული არგუმენტები მკაფიო და ამომწურავია.	ნაწერის აგებულება ძალიან კარგია; ლოგიკური და თანმიმდევრულია; მაკავშირებლები სწორადაა გამოყენებული.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; პასუხობს მოთხოვნებს. შეცდომა იშვიათია.	გამოყენებულია რთული და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.
3 კარგი	ნაწერი კარგია; პასუხობს დავალების მოთხოვნას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ინფორმაცია არასრული ან შეუსაბამოა. არგუმენტები მკაფიოა, თუმცა არ არის ამომწურავი.	ნაწერის აგებულება კარგია, თუმცა ზოგ შემთხვევაში არ არის დაცული ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა.	ლექსიკა კარგია; პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა არის სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების რამდენიმე შემთხვევა.	გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები. დაშვებულია რამდენიმე შეცდომა, მაგრამ ეს აზრის გაგებას ხელს არ უშლის.
2 საშუალო	ნაწერი საშუალო დონისაა; დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. ინფორმაცია, უმეტესწილად არასრული და/ან ბუნდოვანია. მოცემული არგუმენტი ან არგუმენტები მოკლე. შეუსაბამო და/ან ბუნდოვანია.	ნაწერი, უმეტესწილად, არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული; წინადადებები ერთმანეთს ცუდად უკავშირდება.	ლექსიკა ერთფეროვანი და, ძირითადად, მარტივია. ხშირია სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევები.	დაშვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომა, რაც ზოგ შემთხვევაში, აზრის გაგებას ხელს უშლის.
1 საშუალოზე დაბალი	ნაწერი სუსტია; საკითხი მხოლოდ გაკვეთით არის განხილული; დებულებები მეორდება; აზრის მიყოლა ჭირს. არგუმენტები არ არის მოცემული ან გაუგებარია.	ნაწერი გაბმულად არ იკითხება; არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული.	გამოყენებულია უადრესად მარტივი, შეზღუდული და/ან არაადეკვატური ლექსიკა.	გრამატიკული შეცდომები ხშირია, რაც ხელს უშლის აზრის გაგებას; გამოყენებულია უადრესად მარტივი გრ. სტრუქტურები
0 ცუდი	დავალების მოთხოვნას არ პასუხობს. ან: დაწერილია ერთი ან ორი წინადადება.	ნაწერი სრულიად ალოგიკურია /არ იკითხება ან მეტისმეტად მარტივია.	სახეზეა მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო წინადადებები და/ან სიტყვები.	გრამატიკული შეცდომები დაშვებულია თითქმის ყოველ წინადადებაში. ნაწერი არ იკითხება.

**შეფასების სქემა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო
გამოცდის ლაპარაკის ნაწილისთვის. მაქსიმალური ქულა 16.**

ქულა	გაბმულობა; შესაბამისობა დავალებასთან	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული მრავალფეროვნება და სიზუსტე	წარმოთქმა
4 ძალიან კარგი	<u>ლაპარაკობს ძალიან</u> კარგად, თავისუფლად და თანმიმდევრულად. დავალებებს პასუხობს სრულად და არგუმენტირებულად. საუბრობს პაუზების გარეშე. დროს იყენებს სრულად.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფერო- ვანია; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	იყენებს რთულ და მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	ბგერები სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი – თანმიმდევრული. შეცდომების რაოდენობა მინიმალურია.
3 კარგი	<u>ლაპარაკობს კარგად</u> , პასუხები არგუმენტირე- ბულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური და/ან სტრუქტურული თანმიმდევრობა. საუბრობს შესამჩნევი პაუზების გარეშე.	ლექსიკა კარგია; პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა არის სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების რამდენიმე შემთხვევა.	იყენებს საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს; ზოგჯერ უშვებს გრამატიკულ შეცდომებს, თუმცა ეს ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	ბგერები, უმეტესწილად, სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი, უმეტეს შემთხვევაში, თანმიმდევრუ- ლია.
2 საშუა ლო	<u>ლაპარაკობს</u> <u>საშუალოდ</u> ; პასუხი, ზოგ შემთხვევაში, მოკლე, წყვეტილი და/ან არალოგიკურია. არგუმენტები სუსტია. ფრაზებს იმეორებს. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა ერთფეროვანი და, ძირითადად, მარტივია. ხშირია სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევები.	მონაცვლეობით იყენებს მარტივ და საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას.	ბგერები, მახვილი და წარმოთქმის სხვა ელემენტები უმეტესწილად, არ არის სწორი.
1 საშუა ლო ზე დაბალ ი	<u>ლაპარაკობს ცუდად</u> , დაზეპირებული ფრაზებით. პასუხი, უმეტესწილად, მოკლე, წყვეტილი, გაუგებარი და/ან არალოგიკურია. პაუზები არ არის არგუმენტირებული. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა მეტად ერთფეროვანი, მარტივი და/ან არაადეკვატურია.	იყენებს მარტივ და/ან ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები, უმეტესწილად, ხელს უშლის აზრის გაგებას.	წარმოთქმის შეცდომები სისტემურია, რაც ხელს უშლის აზრის გაგებას.
0 ცუდი	<u>ლაპარაკობს სრულიად</u> გაუგებრად; ან ლაპარაკობს სხვა თემაზე ან ღუმს.	სახეზეა სრულიად შეუსაბამო ლექსიკა.	სახეზეა ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო სიტყვები.	სწორად არ იყენებს წარმოთქმის არც ერთ ელემენტს.

ლაპარაკის ნაწილის ნიმუში

Production orale

Introduction

Partie 1

Répondez à deux questions portant sur vos goûts et vos habitudes.

Vous avez 10 secondes de réflexion.

Vous avez 30 secondes pour répondre.

Parlez après le signal sonore.

Question numéro 1 : Quels lieux de votre ville ou village aimez-vous le plus et pourquoi ?

Question numéro 2 : Quel est votre film préféré et pourquoi ?

Partie 2

Décrivez un des membres de votre famille avec qui vous aimez passer du temps.

Vous devez dire :

- Qui c'est.
- Pourquoi vous aimez passer du temps avec cette personne.
- Qu'est-ce que vous aimez faire avec cette personne.
- Ajoutez toutes les informations que vous trouvez importantes.

Vous avez 1 minute de réflexion, vous pouvez prendre des notes.

Vous avez 2 minutes pour répondre.

Parlez après le signal sonore.

Partie 3

Vous allez écouter deux situations. Exprimez votre opinion argumentée sur les questions posées. Vous avez 30 secondes de réflexion et 1 minute pour donner votre opinion. Parlez après le signal sonore.

Situation 1 : Votre ami Guiorgui est étudiant en troisième année. On lui a proposé un travail dans une compagnie de construction. Il aimerait continuer ses études et aussi travailler, mais il n'a pas assez de temps pour faire les deux. Il a du mal à décider. Qu'est-ce que vous lui conseillez et pourquoi ?

Situation 2 : C'est bientôt l'anniversaire de votre frère. Vos parents veulent lui faire un cadeau commun. Votre mère veut lui offrir un ordinateur portable et votre père voudrait lui acheter des billets pour la finale de la coupe du monde de football. Vos parents n'arrivent pas à se décider. Qu'est-ce que vous leur conseillez et pourquoi ?

საგამოცდო ტესტის ნიმუში

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

Exercice 1 Compréhension orale

Vous allez entendre deux fois l'enregistrement. Complétez les affirmations ci-dessous en entourant la lettre A, B ou C.

Vous aurez 45 secondes pour lire les questions.

Vous aurez 30 secondes entre les 2 écoutes.

Mettez les réponses sur la feuille séparée de réponses.

1. Les parents d'Alain Delon se séparent quand leur fils a
A. 4 ans B. 11 ans C. 17 ans
2. Jusqu'à l'âge de onze ans il est élevé par
A. son père B. sa mère C. ses parents nourriciers
3. Le petit Alain est
A. agité B. romantique C. discipliné
4. Une affiche, vue à Paris, fait naître chez Delon le désir de devenir
A. acteur B. pilote C. marin
5. Pour Delon, la plus belle période de sa vie est celle qu'il passe
A. en pension B. dans l'armée C. à la prison de Fresnes
6. Le premier rôle, qu'il interprète dans «Quand la femme s'en mêle» est celui
A. de Roland B. d'Yves Allégret C. d'un samouraï
7. Alain Delon découvre le cinéma en tant que spectateur
A. à Fresnes B. dans une banlieue parisienne C. à Saïgon
8. Il trouve le milieu cinématographique
A. insupportable B. intéressant C. indifférent
9. Delon décide de devenir producteur pour
A. démontrer son talent B. obtenir sa liberté C. gagner de l'argent
10. Dans le cinéma comme ailleurs il déteste
A. l'amateurisme B. la concurrence C. la popularité

11. Selon le journaliste, actuellement le cinéma français connaît deux vedettes masculines de la même importance, Alain Delon et
- A. Gabin B. de Funès C. Belmondo
12. Ce qu'Alain Delon apprécie le plus dans la vie c'est
- A. l'amour B. l'amitié C. la passion

Exercice 2 Compréhension orale

Vous allez entendre 2 fois l'enregistrement. Associez les 4 témoignages des personnes aux affirmations correspondantes. Attention il y a deux affirmations intruses.

Vous aurez 30 secondes pour lire les questions.

Vous aurez 30 secondes entre les 2 écoutes.

Mettez les réponses sur la feuille séparée de réponses.

- A. La mondialisation contribue au développement de la compétitivité sur la planète.
- B. Les problèmes économiques ne sont pas vraiment liés à la mondialisation.
- C. La mondialisation est un besoin naturel et un moyen de mieux connaître l'humanité.
- D. La mondialisation nous fait perdre notre identité nationale.
- E. Les avantages apportés par la mondialisation ne contribuent guère à l'amélioration de l'état environnemental de la planète.
- F. La mondialisation aggrave l'inégalité entre les populations de différents pays.

1. Première personne	A	B	C	D	E	F
2. Deuxième personne	A	B	C	D	E	F
3. Troisième personne	A	B	C	D	E	F
4. Quatrième personne	A	B	C	D	E	F

Exercice 3

Dans le texte ci-dessous 6 phrases sont omises. Complétez le texte par les phrases que vous choisirez dans la liste donnée (A-H). Attention, il y a deux phrases intruses ! Mettez les réponses sur la feuille séparée de réponses.

Le Montparnos, rue d'Odessa, vous vous souvenez ? Un petit cinéma construit dans les années 80, franchement vétuste et un peu délaissé par ses clients, aux dires de son directeur. Les cinémas Gaumont Pathé, qui l'ont racheté début 2010, ont pris les choses en main. 1. _____

Les quatre salles du cinéma ont été entièrement revues : le nombre de places a été divisé de moitié (de 800 à 350 places), les salles gradinées et de l'espace récupéré (notamment en réduisant la taille des toilettes). Tout ça pour quoi ? 2. _____ Des fauteuils plus larges (65 cm), qui sont dotés d'une position inclinable : ils coulissent légèrement vers le bas pour mettre le spectateur dans une position semi-allongée des plus agréables (nous les avons testés !). Après quelques balbutiements pour s'approprier le mécanisme, les spectateurs semblaient conquis.

«Le Montparnos est le premier cinéma en France à être équipé de ces sièges inclinables. 3. _____ En effet, si le Gaumont Parnasse (ex-Miramar) a déjà été rafraîchi il y a trois mois (mais de façon moins drastique que le Montparnos), le groupe Europalace (Gaumont Pathé) a encore l'ambition de moderniser ses salles en 2012.

Parmi les nouveautés, notons également que le cinéma est désormais accessible aux personnes handicapées et que la moquette a été entièrement changée.

4. _____ La plus grande salle, dotée de 151 places (plus deux pour les fauteuils roulants) possède un écran compatible 3D. En accédant aux salles, le public découvre une cabine de projection en verre qui, faute de projectionniste, dévoile le matériel de projection numérique.

Dernier changement remarquable : la profusion d'écrans plasma. «Avec plus de 15 écrans plasma dans le cinéma, nous sommes le premier cinéma «Zéro papier» de France nous a fièrement annoncé Lucia Anglade. 5. _____ Avec ceux installés devant chaque salle pour indiquer le film et les horaires et celui qui est installé à la caisse avec les tarifs, on ne sait plus où donner de la tête ! Cerise sur le gâteau, dans les jours qui viennent, un grand écran sera installé sur la façade du bâtiment et diffusera des bandes-annonces pour appâter le chaland.

